პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
27 ნოემბერი
№ 274 (18216)
ფასი 2 კაპ.

სესიის დარბაზიდან

სურათზე: საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის საბოლოო სხდომის დროს. ს. კილაძის და ჯ. ლომაძის ფოტო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს [illegible] წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმა, რომელიც [illegible]ულია ხუთწლედის წლების, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით და შეფასებულია სკკპ XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესაბამ[illegible].

მუხლი 2. დადგინდეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შემ[illegible] ძირითადი მაჩვენებლები:

	(პროცენტებით 1980 წელთან შედარებით)				
	1981 წ.	1982 წ.	1983 წ.	1984 წ.	1985 წ.
[illegible]ლიკის ტერიტორიაზე [illegible]ებული ეროვნული შე[illegible]ალი	105,5	112,1	117,1	124,4	134
[illegible]რწველობის პროდუქცია სულ	105	109,5	115	122	131
[illegible]აქედან:					
[illegible]ების საშუალებათა წარ[illegible]	103,8	109,1	114,8	123,1	130,2
[illegible]მარების საგნების წარმოება	104,6	109,7	117,2	122,2	132,4
[illegible]ელმწიფო კაპიტალური დაბანები რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	107,1	107,1	103,6	102,3	100,9
[illegible]ერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	106,1	114,6	123,1	131,6	140,1
[illegible]ომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების [illegible]ველობაში	103,5	106,9	112,4	118,8	126
[illegible]ება რესპუბლიკური დაქვემ[illegible]ების საწარმოებისა და [illegible]ანიზაციების სამრეწველო [illegible]ინობიდან	114,6	121,6	127,7	138,3	160,9
[illegible]ალური შემოსავალი ერთ [illegible] მოსახლეზე	104,6	107,7	110,9	115,4	120
[illegible]ელმწიფო და კოოპერაციული [illegible]ების საცალო საქონლებრუნვა (შესაბამი ფასებში)	101,8	110	117	124,6	132,7

1981-1985 წლებში სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალო [illegible]ური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდოს 22 [illegible]ცენტით. ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიური [illegible] კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამაღლდეს 30 [illegible]ცენტით.

[illegible]ურნველყოფილ იქნეს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგე[illegible] პროპორციული განვითარება და მისი მატერიალურ-ტექნიკური [illegible]ის განმტკიცება.

მუხლი 3. სკკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებული სოციალური [illegible]ვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის [illegible]ულების მიზნით ხუთწლედულში უზრუნველყოფილ იქნეს:

[illegible]წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე მუ[illegible]ნისმახურეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდება 13,4 პროცენტით და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობების [illegible]ოგადებრივ მეურნეობაში — საშუალოდ 18,1 პროცენტით;

[illegible]ომარების საზოგადოებრივი ფონდების გაზრდა 28,5 პროცენ[illegible]ით. გაძლიერდეს ამ ფონდებიდან მოსახლეობისათვის მიცემული [illegible]ებისა და შეღავათების როლი საწარმოო და სოციალურ-[illegible]ოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტაში;

[illegible],61 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვ[illegible]ელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა, სასმელი წყლების [illegible]ების ხარისხის ამაღლება, საბჭოთა ადამიანების სასმელი პირობე[illegible] გაუმჯობესება.

[illegible]სკკპ XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკო[illegible]ური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 [illegible]ამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად მე-[illegible]ერთმეტე ხუთწლედში განხორციელდეს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების შემდეგი ღონისძიებანი:

თანდათანობით გაიზარდოს მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი თვეში 80 მანეთამდე, განაკეთები და სარგოები, უწინარეს ყოვლისა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში, პირობების შექმნისა და რესურსების დაგროვების კეთილობაზე.

ცალკეულ დარგებში კიდევ უფრო გაიზარდოს შრომის დამატებითი ანაზღაურების ოდენობა ღამით მუშაობისათვის;

დაწესდეს კოლმეურნეებისათვის ყოველწლიური ფასიანი შვებულების მინიმალური ხანგრძლივობა მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური შვებულების დონეზე;

გაუდიდდეთ სახელმწიფო დახმარება ბავშვებიან ოჯახებსა და ახლად დაქორწინებულებს; გაუმჯობესდეს ბავშვთა კვება და მომსახურება სკოლამდელთა დაწესებულებებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან და სბავშვო სახლებთან არსებულ ინტერნატებში; დამთავრდეს ზოგადსაგანმათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოთა უფასო მიცემის შემოღება;

კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მომუშავე ქალთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობები. დაწესდეს, დადგენილ ვადებში, მომუშავე ქალებისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ერთი წლის ასაკის მიღწევამდე ბავშვის მოვლისათვის. გაფართოვდეს მომუშავე ქალთა შეღავათები ბავშვების შობასთან და აღზრდასთან დაკავშირებით. მცირეწლოვან ბავშვებიან ქალებს მიეცეთ შესაძლებლობა იმუშაონ არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა, სრულად გრაფიკით, აგრეთვე შინ;

დაიხვეწოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა; ამაღლდეს პენსიების მინიმალური ოდენობა მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ასაკისა და ინვალიდობის მიხედვით, აგრეთვე პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო. გათვალისწინებულ იქნეს კოლმეურნეთა და სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფის პირობების შემდგომი გათანაბრება. უზრუნველყოფილ იქნეს წინათ დანიშნული პენსიების ოდენობათა თანდათანობითი მიახლოება იმ პენსიების დონეთან, რომლებიც ამჟამად ენიშნებათ ანალოგიური პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკებს;

კიდევ უფრო გაუმჯობესდეს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და დაღუპულ მეომართა ოჯახების ცხოვრების პირობები. მეტად ვეზრუნოთ შრომის ვეტერანებისათვის;

გაგრძელდეს სახელმწიფო შინაგანი სესხის დაფარვა.

უზრუნველყოფილ იქნეს მუშაკთა, მათ შორის მცირეხელფასიან მუშაკთა ხელფასის ზრდა ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომის შემცირების, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიათა შეთავსებისა და მაღალი შრომითი შედეგების მიღწევის საფუძველზე.

გაძლიერდეს თითოეული მუშაკის ხელფასისა და პრემიების დამოკიდებულება მის პირად შრომითს წვლილსა და კოლექტივის მუშაობის საბოლოო შედეგებზე. ამაღლდეს მათი მასტიმულირებელი როლი შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ყველა სახეობის რესურსების მომჭირნეობაში. სრულყოფილ სტატისტიკა და შრომის ნორმირება.

თანამიმდევრულად გატარდეს ძირითადი სასურსათო და არასასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის ხაზი.

ამაღლდეს მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, დონე და ხარისხი, განვითარდეს სახალხო განათლების სისტემა, გაუმჯობესდეს კულტურის დაწესებულებათა საქმიანობა.

1981-1985 წლებისათვის დაწესდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი მაჩვენებლები.

	(პროცენტებით 1980 წელთან შედარებით)				
	1981 წ.	1982 წ.	1983 წ.	1984 წ.	1985 წ.
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა	106,8	115,5	125,5	136,4	148,3
ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ რესპუბლიკური დაქვემდებარების სკოლამდელ დაწესებულებებში	105,2	108,4	112,9	117,5	122
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	108	111,9	121,3	130,6	139,9
საავადმყოფო საწოლების რიცხვი	102,1	104	106,7	108,4	111,1

მუხლი 4. დამტკიცდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	მრეწველობის პროდუქცია 1985 წ. პროცენტობით 1980 წელთან			
	მთელი მრეწველობა ტერიტორიზე	საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისა	სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი მეურნეობაში 1981-1985 წლებში 1976-1980 წლებთან	სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1985 წელს პროცენტობით 1980 წელთან (შესადარ ფასებში)
აფხაზეთის ასსრ	126	125	119	133
აჭარის ასსრ	121	124	140	131
სამხრეთ ოსეთის ა/ო	168	163	130	130
ქ. თბილისი	131	123	114	134
ქ. ქუთაისი	123	119	133	131

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაამტკიცონ შესაბამის სესიებზე ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წ.წ. გეგმა.

მუხლი 5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

ა) იხელმძღვანელონ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით და ამ კანონით, და უზრუნველყონ, რომ თითოეულმა გაერთიანებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ შეადგინოს ხუთწლიანი გეგმები ხუთწლედის წლების მიხედვით;

ბ) განახორციელონ ეკონომიკის განვითარებისა და წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების დადგენილი დავალებების შესრულების ღონისძიებანი.

ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მომჭირნეობის რეჟიმის გამკაცრების, მართვის სრულყოფის, წარმოების რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების საფუძველზე;

გ) დაუწესონ მკაცრი კონტროლი საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ხუთწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობას, უზრუნველყონ სახელმწიფო დისციპლინის ყოველსაზი განმტკიცება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა სამეურნეო ურთიერთობაში, ამაღლონ თითოეული სამეურნეო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა გეგმა-დავალებათა დროული შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის, ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების მომჭირნედ ხარჯვისათვის.

მუხლი 6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განხილოს წინადადებები და შენიშვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

ადზრდის ჩინებული კერა

შრომის ფითელი დროშის ორდენოსან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სულითა და გულით ულოცავენ შრომის ფითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მრავალრიცხოვან კოლექტივს ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის ამ ჩინებული კერის დაარსების მე-40 წლისთავს.

პიონერთა სასახლეს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით პიონერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ ასპარეზზე გამოსულმა არაერთმა თაობამ მის კედლებში აიდგა ფეხი, ეზიარა სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს, პარტიის იდეების ერთგულებას, საქეიფო საქმისადმი თავდადებას.

პიონერთა სასახლე ჩამოყალიბდა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ბეშმარიტ სკოლად, რესპუბლიკის პიონერული მუშაობის ცენტრად, რომლის მოღვაწეობა გამოირჩევა შემოქმედებითი ძიებით, პედაგოგთა მაღალი პროფესიონალიზმით, საქმის სიყვარულითა და ენთუზიაზმით.

პიონერთა სასახლე რესპუბლიკის მოზარდი თაობისათვის იყო და არის ერთგული მეგობარი და მრჩეველი, პიონერული, კომკავშირული, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის, ახალგაზრდა ლენინელთა მოძრაობის პრაქტიკული ცენტრი და ორგანიზატორი, იგი მხარში უდგას სკოლას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მცოდნე, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, გონიერი და მტკიცე რწმენის მქონე თაობის აღზრდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვამ და მხარდაჭერამ, რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანების — ბრძოლისა და შრომის გმირების, მუშათა კლასის, სოფლის მშრომელთა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენელთა თანდგომამ ბევრად განაპირობა პიონერთა სასახლის დღევანდელი წარმატება, მისი საქვეყნო აღიარება. მისი აღსაზრდელები მრავალ საკავშირო კონკურსსა თუ შეჯიბრში გამარჯვებულნი გამოსულან, მოუპოვებიათ ბევრი ფესტივალისა თუ დათვალიერების პრიზები და დიპლომები, ხოლო მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივი ლენინური კომკავშირის ლაურეატი გახდა.

ორმოცი წელია სახასლე პირნათლად ემსახურება ნორჩი თაობის აღზრდის უაღრესად პასუხსაგებ და მამულიშვილურ საქმეს; უნერგავს მას სამშობლოს პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციის სახელოვანი ტრადიციებისადმი ერთგულებას.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი უდიდესი შრომითი აღმავლობით ახორციელებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, სასახლის კოლექტივი მთელ თავის საქმიანობას წარმართავს იმ მიმართულებით, რომ უფრო მეტად გააქტიუროს მუშაობა საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში საქართველოს პიონერული ორგანიზაციის, ყოველი ნორჩი ლენინელის დასარაზმავად, იბრძვის იმისათვის, რომ ქვეყნისა და მშრომელთა ინტერესებს დაუქვემდებაროს საკავშირო „პიონერული მარშის“ ყოველი მარშრუტი, პრაქტიკულად შეასახას ხორცი პიონერთა VIII საკავშირო, XII რესპუბლიკური შეკრებებისა და საქართველოს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური კრების გადაწყვეტილებებს, პიონერული შრომითი ხუთწლედის დავალებებს, აღზრდოს მომავალი მოქალაქენი ყოველგვარი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, კომუნისტთა გმირული მაგალითებით.

ეს არის დღეს სახასლის მთელი კოლექტივის ძირითადი საზრუნავი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უსურვებენ პიონერთა სახასლის პედაგოგიურ კოლექტივს, მის ყველა თანამშრომელს, აღსაზრდელთა მრავალათასიან არმიას კიდევ უფრო მჩქეფარე, შთამაგონებელ შემოქმედებითს საქმიანობას და ახალ, დიდ წარმატებათა მოპოვებას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაარსების მე-40 წლისთავთან დაკავშირებით **ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ყველაზე წარჩინებული მუშაკების დიდი ჯგუფი დაჯილდოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წარჩინებულ მუშაკებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლელის“, „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდებები.

(საქინფორმი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი [illegible] ადგენს:

[illegible] 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს [illegible] წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალ[illegible]ური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს [illegible] უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კო[illegible]ების შესწორებათა გათვალისწინებით.

[illegible] 2. დადგინდეს 1982 წლისათვის საქართველოს სსრ ეკო[illegible]ური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლებ[illegible] მიხედვით მატების შემდეგი ტემპები:

	(მატება პროცენტობით 1981 წელთან შედარებით)
[illegible]ლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემ[illegible]ალი	5,6
[illegible]ურნველობის პროდუქცია სულ	4,8
[illegible]აქედან:	
[illegible] წარმოების საშუალებათა წარმოება	4,7
[illegible] მოხმარების საგნების წარმოება	4,9
[illegible]ელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუ[illegible]ლიკური და რესპუბლიკურ დაქვემდებარების მეურნეობაში	2,7
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	6,6
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	2,0
შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში	2,5
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან	6,5
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	3,0
ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	4,0
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე	4,7
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (შესადარ ფასებში)	6,8
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	7,8
ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში (რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში)	3,6
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებში (ან ჯგუფებში)	2,6
კვალიფიციურ მუშათა გამოშვება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან	2,8
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	2,5

[illegible]ანდეს 1982 წელს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრების ხარჯზე 953,5 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მუხლი 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის დროს საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის საფუძველზე განახორციელოს მისი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გამოყენების, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების მომჭირნეობისა და რაციონალური გამოყენების, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, მთელი შინაგანი რეზერვების მობილიზაციის ღონისძიებანი და საგეგეროების შემოხვევაში შეიტანოს დაზუსტებანი საგეგმო დავალებებში.

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

[illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

[illegible] 1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭ[illegible] მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური [illegible]ვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდი[illegible]ობის შესახებ.

[illegible] 2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორ[illegible]ციელებს საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური [illegible] სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის [illegible]ულებლად.

[illegible] 3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს [illegible] საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებები [illegible] შენიშვნები, აგრეთვე წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც [illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქვეს დეპუტატებმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებანი, მიმდინარე წლისა და 1982 წლის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმა, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ჯ. ლ. ქართველიშვილის მოხსენება

კაცივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებით გამოწვეული მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობა ადასტურებს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მზად არის განუხრელად შეასრულოს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ღრმაშინაარსიან სიტყვაში, რომელიც პლენუმზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური მშენებლობის საკვანძო პრობლემები, დასახულია ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდგომი შესრულების გზები, გამოთქმულია რწმენა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედისათვის განსაზღვრული კეთილშობილური ეკონომიკური მშენებლობის დიდი და რთული ამოცანები წარმატებით შესრულდება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, რომ უსათუოდ უნდა მივაღწიოთ წარმოების უფრო მაღალ ეფექტიანობას, უზრუნველყოთ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი და ყველა სახეობის რესურსების რაციონალური გამოყენება, კიდევ უფრო სრულყოთ სამეურნეო მექანიზმი და სახალხო მეურნეობის მართვის სისტემა, ავამაღლოთ და განვამტკიცოთ საგეგმო, საწარმოო და შრომის დისციპლინა.

აღნიშნული ამოცანების შესაბამისად მეთერთმეტე ხუთწლედსა და მომავალ წელს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული მაჩვენებლები და მიზნები ასახა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიისათვის წარმოდგენილ პროექტებში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1982 წლის სახელმწიფო გეგმების შესახებ, რომლებიც განიხილა და ძირითადად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გუშინდელმა პლენუმმა. ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში გეგმების განსახილველი პროექტების სოციალურ-ეკონომიკური მიზნების და დახასიათების საფუძველზე განსაზღვრულია პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის მთავარი მიმართულებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახული დიდი მასშტაბის ამოცანების წარმატებულ რეალიზაციას და უზრუნველყოფენ მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1982 წლის სახელმწიფო გეგმების პროექტები შემუშავებულია სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ივნისის იმ გადაწყვეტილების სრული შესაბამისობით, რომელიც ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების ოთხეული გეგმის პროექტი ითვალისწინებს რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას და მისი კულტურული დონის ამაღლებას, საერთო-სახელმწიფოებრივ დოვლათში რესპუბლიკის წვლილის ზრდას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მყარი, შეუნელებელი განვითარების, ეკონომიკაში პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების, საწარმოო ბაზის განახლებისა და ხელახალი აღჭურვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეკონომიკის განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე გადაყვანის ყველა სახეობის რესურსების უფრო სრული გამოყენებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველზე.

ამასთანავე, ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მიმდინარე ხუთწლედის ნიშანდობლივი თავისებურებაა ისიც, რომ ეს ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავს დავძლიოთ საქართველოს სს რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლების მიხედვით.

ამ მიზნით ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს საშუალო საკავშიროსთან შედარებით სახზოგადოებრივი წარმოების მსწრაფლ გადიდებას, ყველა მისი დარგის შემდგომი დაჩქარებული და დინამიკური ზრდის, საწარმოო-ტექნიკური ბაზის, ბუნებრივი რესურსების, შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერებისა და უკეთ გამოყენების საფუძველზე.

მატერიალური წარმოების დარგების ზრდისა და სახზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე 1981-1985 წლებში ერთობლივი სახზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა გადიდდება 30 პროცენტით და 1985 წელს 20,4 მილიარდ მანეთს მიაღწევს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის ოდენობა კი 34 პროცენტით გაიზრდება და ხუთწლედის დამლევს 9,7 მილიონ მანეთს შეადგენს.

მეთერთმეტე ხუთწლედში ბევრი ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლის მიხედვით დაგეგმილია წინანდელზე უფრო მაღალი აბსოლუტური მატება. კერძოდ, 1981-1985 წლებში ერთობლივი სახზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა გაიზრდება თითქმის 4,7 მილიარდი მანეთით, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავლისა — 2,4 მილიარდი მანეთით და მეტად, რაც აღემატება მეათე ხუთწლედის ფაქტობრივად მიღწეულ მატებას შესაბამისად 4,3 პროცენტით და 11,3 პროცენტით.

სახზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობის ზრდა დაგეგმილია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგების ინტენსიური განვითარების ხარჯზე. საგეგმო გაანგარიშებით, 1981-1985 წლებში მრეწველობის წმინდა პროდუქცია გადიდდება 36,2 პროცენტით, სოფლის მეურნეობისა — 31,4 პროცენტით.

მეთერთმეტე ხუთწლედში სახზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის არსებითს გაფართოებასთან ერთად დაგეგმილია სახალხო მეურნეობის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, რის კონკრეტული გამოხატულებაც არის ეკონომიკის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის წილის ამაღლება ერთობლივ სახზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში. გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფა. ამ მიზნით დასახულია 1981-1985 წლებში სახალხო მეურნეობას მოხმარდეს კაპიტალური დაბანდებანი 8123 მილიონი მანეთის ოდენობით, ამასთან ზრდა მეათე ხუთწლედთან შედარებით შეადგენს 15 პროცენტს.

მატერიალური წარმოებისა და არასაწარმო სფეროს დარგების მოქმედ საწარმოთა გაფართოება და ახალ საწარმოთა მშენებლობა და, მაშასადამე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების რაციონალური დასაქმების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას.

სკკპ XXVI ყრილობის მითითებათა შესაბამისად, მიმდინარე ხუთწლედის დამახასიათებელი თავისებურებაა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების სოციალური მიმართულების გაძლიერება. 1981-1985 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში მოხმარებისა და არასაწარმოო დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის რესურსები გაიზრდება 32,6 პროცენტით და 1985 წელს შეადგენს 7069 მილიონ მანეთს.

იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის „ბ“ ჯგუფის დარგების უპირატესი ზრდა „ა“ ჯგუფთან შედარებით 2,2 პუნქტით, რაც შეესაბამება ძირითადი მიმართულებების მოთხოვნებს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების უზრუნველყოფის შესახებ. გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას და ხარისხის გაუმჯობესებას საწარმოების სიმძლავრეთა უფრო სრული გამოყენების, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის ბაზაზე, რამაც გამოხატულება პოვა შემუშავებულ და ხუთწლიან გეგმაში შეტანილ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების 1981-1985 წლების პროგრამაში.

ამავე მიზნს ემსახურება რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა, რომელიც შეიცავს ურთერთდაკავშირებულ და ურთიერთშეწონასწორებულ დავალებათა კომპლექსს ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებისა-მოხმარების შესახებ, და ითვალისწინებს სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

ხუთწლიანი გეგმის განსახილველ პროექტში, განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადაყვანის საჭიროების შესახებ სკკპ XXVI ყრილობის მითითებათა შესაბამისად, სახზოგადოებრივ წარმოებაში დამატებითი რესურსების მიზიდვასთან ერთად მოსაქცევი რესურსების გადიდებასთან ერთად მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევა გათვალისწინებულია უმთავრესად სახზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების მეშვეობით.

1981-1985 წლებში სახზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 31 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში — 21 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სახზოგადოებრივ სექტორში — 30 პროცენტით.

ეკონომიკაში პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების გაღრმავება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართო დანერგვა, მატერიალური რესურსების ნორმირების სრულყოფა განსაზღვრავს წარმოების ნივთობრივი ფაქტორების უფრო რაციონალურ გამოყენებას. გეგმის პროექტით დასახულია მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უნდა იხელმძღვანელონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებთ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვის საჭიროების შესახებ და სათანადო კონტროლი დაუწესონ აღნიშნულ დავალებათა შესრულებას, უზრუნველყონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა სახეობის რესურსების ხარჯვის ნორმების შემდგომ შემცირებას და ეკონომიას.

სკკპ XXVI ყრილობის დადგენილებათა მიხედვით ხუთწლიანი გეგმის პროექტში პირველად არის შეტანილი იქვსი მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა, რომლებიც ითვალისწინებს კონკრეტული საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მისაღწევად გამიზნულ სოციალურ-ეკონომიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ, საწარმოო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებას. ამ მიზნობრივი კომპლექსური პროგრამებიდან თავისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით განსაკუთრებით გამოირჩევა რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების პროგრამა, ხელის შრომის მექანიზაციის პროგრამა.

მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამოცანად გვისახავს ავამაღლოთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა, მნიშვნელოვნად შევამციროთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ვადები, გავაღრმაოთ ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების კვანძური წარმოებასთან. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების 1981-1985 წლებისათვის დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, განვითარების ინტენსიურ გზაზე რესპუბლიკის ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარებას, სახზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

1981-1985 წლებში, მეათე ხუთწლედთან შედარებით, 1,4-ჯერ გაიზრდება იმ ღონისძიებათა რიცხვი, რომელთა მიზანია ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ათვისება, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, საწარმოო პროცესების მექანიზაციაავტომატიზაცია. ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, აგრეთვე ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების ღონისძიებანი მიმდინარე ხუთწლედში უზრუნველყოფს ნაწარმის ხარისხის არსებითს გაუმჯობესებას.

ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა მძიმე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას. ამ პრობლემის გადაწყვეტაში უმთავრესი როლი ეკისრება ხელის შრომის მექანიზაციის მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამას, რომლის რეალიზაცია მეთერთმეტე ხუთწლედში მექანიზებულს გახდის 23 ათასი კაცის შრომას. ამ ღონისძიების წლიური ეკონომიკური ეფექტი 50 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია კვლევის გაძლიერება მეცნიერების სხვადასხვა დარგის უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული მიმართულებებით. კიდევ უფრო განვითარდება შემთხვევითი პროცესების თეორიის მათემატიკური პრობლემების, ალბათობის და მათემატიკური სტატისტიკის თეორიის გამოთვლითი მეთოდების, პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შემუშავება და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში ოპტიმალურ გადაწყვეტათა მიღებისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული კურსის შესაბამისად, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობებმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა განსაზღვრეს, წამყვანი როლი ეთმობა სამრეწველო წარმოების დაჩქარებულ ზრდას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიული განვითარების დონის ამაღლებას.

ამის გათვალისწინებით, რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების მთავარი ამოცანა 1981-1985 წლებში ის არის, რომ უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება საქონლიანი პროდუქციის, ხოლო მოსახლეობისა — მოხმარების საქონლეზე წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი გაძლიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ყოველნაირი გამოყენებისა და პროდუქციის ხარისხის არსებითი გაუმჯობესების ბაზაზე.

დასახული ამოცანა განხორციელდება ელექტრონული და რადიოტექნიკური, მანქანათმშენებლობის, სხვა არაორგანულ-ორგანული ქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარების შედეგად, აგრეთვე ხელსაწყოთმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდის სწრაფი ტემპის მეოხებით არაორგანულ-ორგანული ფოლადის, ფერადი ლითონების, ნავთობ-ქიმიის, ბიოქიმიის, ბიოტექნოლოგიის, ბიოლოგიური ფარმაცევტიკის, ბიოლოგიურ-ქიმიური ბაზის, ბიოლოგიურ-ტექნიკური ბაზის, ბიოლოგიურ-ინჟინერიული ბაზის, ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ბაზის, ბიოლოგიურ-ინფორმაციული ბაზის, ბიოლოგიურ-ეკონომიკური ბაზის, ბიოლოგიურ-ეკოლოგიური ბაზის, ბიოლოგიურ-ტექნიკ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

დეპუტატ დ. ლ. ქართველიშვილის მოხსენების დასასრული

ამხანაგო დეპუტატებო!

საზოგადოებრივი წარმოების დიფერენციაციურობას, შეწონასწორებულობასა და ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საწარმოო ძალების განლაგების ბალანსი. ამ თვალსაზრისით მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს. დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის ოპტიმალური ვარიანტების პრინციპის საფუძველზე ეკონომიკური რეგიონების განვითარების. სპეციფიკური ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების შესაბამისად დასახულია საქართველოს სსრ ავტონომიური ერთეულების, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელება. რეგიონების ეკონომიკის განვითარების დაგეგმილი ტემპი და პროპორციები განსაზღვრულია იმით, გათვალისწინებით, რომ სამეურნეო ბრუნვაში მაქსიმალურად მოვაქციოთ წარმოების ზრდის არარეალიზებული შესაძლებლობები და უფრო სრულად გამოვიყენოთ ადგილობრივი ნედლეული, მეტადრე შრომითი რესურსები.

მეთერთმეტე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მთის და მთისწინა რაიონების ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. 1981-1985 წლებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელების წყალობით გაიზრდება ამ რეგიონების როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში, მატერიალური სფეროს ყველა დარგის პროდუქციის წარმოებაში.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის საწარმოო ძალების განლაგების რაციონალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კვლავინდებურად იქნება დიდ საწარმოთა და გაერთიანებათა ფილიალებისა და წარმოებების ფორმირება-განვითარება ძირითადად ჭარბი შრომითი რესურსების მქონე რაიონებში. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, მეთაური საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ ფილიალებში წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, თანამედროვე დიდმწარმოებლური მოწყობილობით მათი აღჭურვის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიის კადრებით დაკომპლექტების ღონისძიებანი.

ამხანაგო დეპუტატებო! მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანათა რეალიზაციის პასუხსაგები ეტაპი გახდება 1982 წელი. ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შემუშავებისას ვითვალისწინებდით რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმის შესრულების მოსალოდნელ შედეგებს. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკამ წარმატებული სტარტი აიღო XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების საქმეში. წინასწარი შეფასებით, 1981 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზრდება სულ ცოტა 5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების დონე — 3,6 პროცენტით, რაც შეესაბამება რესპუბლიკის მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ეს ვალდებულებანი ხორცს ისხამს სოფლის მეურნეობაშიც, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეჩაიეებმა და მევენახეებმა. დადებითი ძვრებია მიღწეული მატერიალური წარმოების სხვა დარგებსა და მომსახურების სფეროში.

ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი წლის განმავლობაში 5,2 პროცენტით გადიდდება, ეროვნული შემოსავალი კი 6,1 პროცენტით.

წლეულს შესამჩნევად გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობის დონის ამსახველი მაჩვენებლებიც. წინასწარი შეფასებით, რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე განაგარიშებით რეალური შემოსავალი გაიზრდება 5,8 პროცენტით. მოემატათ ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს, შრომის ანაზღაურება — კოლმეურნეებს, შესრულდება საერონელბრუნვისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმები. 24,8 ათასს მიადწევს იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც საბინაო პირობებს გაიუმჯობესებენ.

ამასთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გუშინდელ პლენუმზე პარტიული პრინციპულობით აღინიშნა, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. დიდია ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი, ქრონიკულად არ სრულდება ზოგიერთ სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმები ნატურალური გამოხატულებით. კაპიტალურ მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებების გამო დაირღვა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტების ამოქმედების ვადები. ამ და სხვა ნაკლოვანებათა შედეგებმა შეიძლება თავი იჩინოს გაისადაც და მეთერთმეტე ხუთწლედის მომდევნო პერიოდში. ამიტომ ჩვენ დაუყოვნებლივ და გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ისინი.

სწორედ სახალხო მეურნეობის ყოველ რგოლში მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების გათვალისწინებით არის განსაზღვრული მომავალ წელს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ტემპი და პროპორციები. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მატება 1982 წელს დაგეგმილია 5 პროცენტის ოდენობით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლისა — 5,6 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციისა — 4,8 პროცენტით.

დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულებაა დაგეგმილი სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. 1982 წლის გეგმის პროექტს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ტენდენცია ანასიათებს. შესრულდება ხუთწლედის სოციალური პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი. საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს 92,7 ათასი კაცი. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა განსაზღვრულია 4.770 მილიონი მანეთის ოდენობით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაცია — 181 მილიონი მანეთის ოდენობით. ყოველივე ამის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რეალური შემოსავალი 3 პროცენტით გადიდდება.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმით დასახული მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს დარგების დინამიკური, პროპორციული და ურთიერთშეწონასწორებული ზრდის კომპლექსური პროგრამის შესრულება რესპუბლიკას შესაძლებლობას მიცემს დაიწყოს თავისი განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი, რომლის დამახასიათებელი ნიშნები იქნება მძლავრი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და საზოგადოებრივი წარმოების დიდი მასშტაბი. მრეწველობის იმ დარგებისა და წარმოებების უპირატესი ზრდა, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ პროგრესსა და კომპლექსურ განვითარებას, ახალი დიდი თანამედროვე საწარმოებისა და გაერთიანებების მშენებლობა საჭირო პირობებს შეუქმნის მეთერთმეტე ხუთწლედისთვის დასახულ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა წარმატებულ რეალიზაციას და ხელს შეუწყობს აუცილებელი წანამძღვრების შექმნას რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებული და ჰარმონიული განვითარებისათვის მეთორმეტე ხუთწლედში და უფრო შორეულ პერსპექტივაში. (ტაში).

საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, დეპუტატ დ. ნ. დვალიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოიტანა საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

პროექტი შემუშავებულია იმ ამოცანათა შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით ქ. თბილისში გამართულ ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული მითითებებითა და რეკომენდაციებით.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს დაუღალავი შრომის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით, საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე, რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებანი, რამაც უზრუნველყო ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობა. გაიზარდა საზოგადოებრივი წარმოების მოცულობა, დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი, ამაღლდა სახალხო მეურნეობის დარგების მუშაობის ეფექტიანობა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი მიმდინარე წელს გაიზრდება 442 მილიონი მანეთით, ანუ 6,1 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გამოშვება გასული წლის დონეს გადააჭარბებს 440,1 მილიონი მანეთით. სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენება უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის ნამატის 85,9 პროცენტს ამ მიღებას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

თანამიმდევრულად ხორციელდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობის კომპლექსური პროგრამა, რამაც შესაძლებელი გახადა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უცილობელი განვითარება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოება.

წარმატებით ხორციელდება პარტიის მიერ შემუშავებული სოციალური განვითარების პროგრამა. საზოგადოებრივი წარმოების განვითარების შედეგად გაიზარდა ნეფეს-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, ახლად აშენებულ კეთილმოწყობილ ბინებში მრავალმა მშრომელმა იზეიმა ახალმოსახლეობა, გაფართოვდა საკურსაოო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობა.

სახალხო მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს ფინანსური ბაზის სიმტკიცე, რაშიც გადამწყვეტი როლი სახელმწიფო ბიუჯეტს განიკუთვნება.

საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდება გასავალზე შემოსავლის გადამეტებით. ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა შესრულდება 2,8 პროცენტის, ხოლო გასავლისა — 2,0 პროცენტის გადაჭარბებით.

შეუფერხებლად ხორციელდება როგორც გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებული, ასევე ბიუჯეტის შესრულების პროცესში აუცილებლობით გამოწვეული ცვლილებისა და წარმოებების ფორმირება-განვითარება ძირითადად ჭარბი შრომითი რესურსების მქონე რაიონებში. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, მეთაური საწარმოებისა და გაერთიანებების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, შიდასამეურნეო რესურსების უფრო სრულად გამოყენების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და სახელმწიფო სახსრების ყაირათიანად ხარჯვის აუცილებლობას.

ბიუჯეტის პროექტი შედგენილია 1981 წელს მოქმედი ფასებისა და პირობების შესაბამისად, გამომდინარეობს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტში მაჩვენებლებიდან და ითვალისწინებს საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ყველა ღონისძიების შეუფერხებელ დაფინანსებას.

პროექტში გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებანი, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში განისაზღვრა 2.411.363 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 6,5 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის გეგმას.

სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგება 1982 წლისათვის გაანგარიშებულია 1220,2 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ 6,0 პროცენტით მეტი მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით. მეურნეობათა განკარგულებაში დარჩება მოგების 36,1 პროცენტი, რომელიც მოხმარდება წარმოების გაფართოებას, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნას და გეგმით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.

პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის საგეგმო დავალებებიდან გამომდინარე, ბრუნვის გადასახადი გათვალისწინებულია 1777,9 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმას 269,2 მილიონი მანეთით აღემატება.

გეგმასა და ბიუჯეტში გათვალისწინებულია სკკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებული სოციალური პროგრამით დასახულ ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება.

1982 წელს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გადიდდება 4,1 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზრდება 2,3 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 1,8 პროცენტით. მრავალი ოჯახი გაიუმჯობესებს საბინაო პირობებს. მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდება მეცნიერებას, განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, ფიზიკურ კულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფას.

მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება განუხრელად არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ განმტკიცებასთან, მრეწველობის ყოველი დარგის განვითარებასთან.

დიდი სამუშაოები შესრულდება 1982 წელს სამრეწველო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, გათვალისწინებულია მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია, ახალი სიმძლავრეების ამოქმედება, მსუბუქი, კვების, ადგილობრივი, ხორციცისა და რძის მრეწველობისა და სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი სხვა დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. მრეწველობაში მთლიანი პროდუქციის გამოშვება 4,8 პროცენტით გაიზრდება.

სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები და საწარმოები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საბრუნავი საშუალებების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებას, მიაღწიონ მათი ბრუნვადობის დაჩქარებასა და ზენორმატიული მარაგის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას.

სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. მეთერთმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა აგროსამრეწველო კომპლექსის სრულყოფას. პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას. სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას 1982 წელს მოხმარდება 610 მილიონ მანეთზე მეტი. წარმოების გაფართოებისათვის კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დანახარჯები განსაზღვრულია 118 მილიონი მანეთის ოდენობით. საბჭოთა მეურნეობებს მოგება გაანგარიშებულია 88 მილიონი მანეთის ოდენობით და თითქმის მთლიანად რჩება მათს განკარგულებაში მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად.

1982 წლისათვის სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა განსაზღვრულია 249,3 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს თანხები მოხმარდება ხორცისა და რძის წარმოების სახელმწიფო კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, ლიმონარიუმებისა და ალისაცავების მშენებლობას, სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციას, მანქანებისა და მოწყობილობათა შეძენას, სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. დიდი ყურადღება დაეთმობა ბუნების, ტყის სიმდიდრის, წყლის რესურსებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებს.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების დაფინანსებას 1982 წელს მოხმარდება 754,3 მილიონი მანეთი. მათ შორის ბიუჯეტიდან — 357,1 მილიონი მანეთი, მეურნეობათა საკუთარი სახსრებიდან — 370 მილიონი მანეთი და ბანკის გრძელვადიანი კრედიტი — 27,2 მილიონი მანეთი.

მნიშვნელოვანი თანხები იქნება გამოყენებული საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის. მომავალ წელს საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დაფინანსებას ყველა წყაროს მიხედვით მოხმარდება 134 მილიონ მანეთზე მეტი, რაც საშუალებას მოგვცემს საექსპლოატაციოდ გადავცეთ 712 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების მიზნით, სახალხო მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარების პირობებში, პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მომსახურების ისეთი დარგების განვითარებას, როგორიც არის საავტომობილო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და სხვა.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას 1982 წელს მოხმარდება 76,8 მილიონი მანეთი, რაც 15,7 პროცენტით აღემატება მიმდინარე წელს ამ მიზნით გამოყოფილ სახსრებს.

მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდება საბაგირო გზების მშენებლობის შემდგომ გაფართოებას, საავტომობილო გზების რემონტსა და ექსპლოატაციას. განხორციელდება კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდი პროგრამა. მეტი ყურადღება დაეთმობა ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბების კეთილმოწყობას, საბინაო ფონდის შემდგომ ზრდას.

მეთერთმეტე ხუთწლედში საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახალხო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. გამტკიცდება ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაფართოვდება მუშაობის პროგრესული ფორმების გამოყენება, გაიზრდება სასურსათო და არასასურსათო საქონლის რეალიზაციისა და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ საკმაო ნაკლოვანებებია. ყოველდღიური მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა ჯერ კიდევ ჩამორჩენა მოთხოვნილებას. რიტმულად ვერ ვაწოდებთ ცალკეულ რაიონებს იმ პირველადი მოხმარების საქონელს, რომელიც საკმაო რაოდენობით არის საწყობებსა და ბაზებში. მოწესრიგებული არ არის სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისადმი ეფექტიანი კონტროლი, რის შედეგად სავაჭრო ქსელში მნიშვნელოვანი ოდენობით არის დაგროვილი მოძველებული ფასონისა და დაბალი ხარისხის საქონელი.

სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული სოციალური პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების, მეცნიერების, კულტურის, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის შემდგომ განვითარებას. სახელმწიფო ამ მიზნით ყოველწლიურად დიდ სახსრებს გამოყოფს.

მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელს სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდება 1.263,8 მილიონი მანეთი, რაც 1981 წლის დამტკიცებულ გეგმას 46,7 მილიონი მანეთით აღემატება.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ყოველი მეორე მანეთი მოხმარდება განათლების, კულტურის, მეცნიერების, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკურ კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაფართოებას.

კვლავ დიდი ყურადღება დაეთმობა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა მოგლა-პატრონობისათვის გათვალისწინებულია 1.700 ათასი მანეთი. ამ სახალხო მნიშვნელობის საქმეში დიდი პოპულარობა მოიპოვა საშეფო ღონისძიებებმა.

დაფინანსების ყველა წყაროდან მეცნიერების შემდგომ განვითარებას 1982 წელს მოხმარდება 63,5 მილიონი მანეთი. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობას, კაპიტალურ რემონტს, რეკონსტრუქციასა და სამედიცინო აპარატურით და ინვენტარ-მოწყობილობით მათს აღჭურვას 36,8 მილიონი მანეთზე მეტი მოხმარდება. ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყოფა 3,8 მილიონი მანეთი. მნიშვნელოვნად გაიზრდება სახელმწიფო ხარჯები მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის.

სამინისტროებმა, უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოების საგეგმო დავალებათა შესრულება და ამ დანიშნულებით გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება.

რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების განმავლობაში გარკვეული წარმატებებია მიღწეული სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების საქმეში. მეათე ხუთწლედში განხორციელდა წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია გაერთიანებათა შექმნის გზით, რომლებიც მსხვილ საწარმოო-სამეურნეო კომბინატებს წარმოადგენს.

მთელ რიგ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებში გაწეულია მუშაობა პარალელურად მოქმედი და ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციისა და მცირე მოცულობის საწარმოების გამსხვილებისათვის, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვემცირებინა სამმართველო აპარატის მუშაკთა ხვედრითი წილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მომუშავეთა საერთო რაოდენობაში.

მიუხედავად ამისა, სამმართველო აპარატის გაიაფების არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ დიდია. არის საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევის მრავალრიცხოვანი ფაქტები. 1982 წელს გაგრძელდება მუშაობა მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მართვის სრულყოფისათვის.

საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს არაერთი დადგენილება და გადაწყვეტილება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 701 მილიონ მანეთზე მეტი. ამ სახსრებიდან 551,5 მილიონი მანეთი მოხმარდება სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, ხოლო 149,7 მილიონი მანეთი — სახალხო მეურნეობის განვითარებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად 1982 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად შემოაქვს საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი შესრულებულია 2 მილიარდ 528 მილიონ მანეთის ოდენობით, ანუ 103,4 პროცენტით, ხოლო გასავალი 2 მილიარდ 448 მილიონი მანეთით, ანუ 100,1 პროცენტით. შემოსავალმა გასავალს 80 მილიონი მანეთით გადააჭარბა. ბიუჯეტის შემოსავალი გადაჭარბებით შესრულდა როგორც რესპუბლიკური, ისე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების მიხედვით.

თქვენთვის კარგად არის ცნობილი დანაშაული, რომელიც საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში მოხდა. ბოროტმოქმედებს მართლმსაჯულება საკადრისად მიუზღავს. უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობაში მოკალათებულმა ბოროტმოქმედებმა და მათი მუშაობის მანკიერმა სტილმა დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელი საფინანსო სისტემის მუშაობაზე. რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაკებმა ღრმად გააანალიზეს მომხდარი ფაქტი, პრინციპული დასკვნები გამოიტანეს და თავდადებით იბრძვიან საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ.

მინდა აღვნიშნავ სესიას, რომ საქართველოს ფინანსისტები ყოველ ღონეს იხმარენ რესპუბლიკის ფინანსური რესურსების გაზრდისათვის, საკავშირო სახსრების მიზნობრივად ხარჯვისათვის, რათა სახელმწიფოს ყოველი მანეთი მოხმარდეს საერთო საქმეს, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ისინი მტკიცედ განახორციელებენ ნეგატიურ მოვლენებთან შეურიგებელი ბრძოლის კურსს, რომელსაც ასე პრინციპულად ადგას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები შრომითის კოლექტივებს დარაზმავენ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის საგეგმო მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის. (ტაში).

* მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრაფიის მიხედვით.

მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასები

ბევნი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, როგორც ცნობილია, დიდი მუშაობა წარმოებს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის. ამ მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების სამოქმედოდ შემოღება.

მომავალი წლის იანვრიდან, კერძოდ 26 ნოემბერს ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტ. კუზნეცოვმა, შემოღებულ იქნება მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასები. საბითუმო ფასების მიხედვით წარმოებს ანგარიშსწორება საწარმოთა შორის იმ საცალო ფასებისაგან განსხვავებით, რომელთა მიხედვითაც მიეყიდება საქონელი მოსახლეობას მაღაზიებში.

როგორც ცნობილია, ფასები სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია, და ძნელია ჯეროვნად არ დააფასო მათი მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში საწარმოთა საქმიანობის სამეურნეო ანგარიშიანი პირობების შექმნაში. მოქმედი საბითუმო ფასები მეტწილ სახეობათა პროდუქციაზე დაახლოებით 12 წელია არ გადასინჯულა და ბევრად მოძველდა. ამავე დროს ზოგიერთ დარგში წარმოების დანახარჯები ტექნიკური პროგრესის შედეგად შემცირდა — მაგალითად, ელექტრონიკაში, მანქანათმშენებლობის ცალკეულ დარგებსა და სხვებში, ზოგიერთებში კი პირიქით, სხვადასხვა მიზეზისა გამო — გაიზარდა.

უწინარეს ყოვლისა ეს ეხება სათბობ-ენერგეტიკულ და სანედლეულო დარგებს. სათბობ, სამთამადნო დარგებში მიმდინარეობს ქვეყნის წინათ ათვისებულ რაიონებში ნავთობის, გაზის, ქვანახშირის, მადნის მოპოვების სამთო-გეოლოგიური პირობების გართულების პროცესი, რის შედეგადაც იზრდება მათი მოპოვების ღირებულება. მატულობს დანახარჯები აგრეთვე ქვეყნის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთის რაიონების ათვისებასთან დაკავშირებით. სადაც გადაინაცვლა მრავალსახეობათა სათბობისა და ნედლეულის მოპოვების ცენტრმა. ყოველივე ეს დაკავშირებულია დამატებითს კაპიტალურ დაბანდებებთან მოპოვებული სათბობისა და ნედლეულის ერთეულზე გადაანგარიშებით, რომ აღარაფერი ვთქვათ გარემო ბუნების დაცვის გაზრდილ ხარჯებზე.

მოქმედი საბითუმო ფასები მთელ რიგ დარგებში უკვე აღარ შეესაბამება წარმოების დანახარჯებს, ვერ ასახავს მათ საკმაოდ ზუსტად და, ამრიგად, ვერ უქმნის საჭირო სამეურნეოანგარიშებრივ პირობებს საწარმოთა საქმიანობას.

ფასების სახელმწიფო კომიტეტმა სამინისტროებთან, უწყებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად 1979-1981 წლებში დიდი მუშაობა გასწია საბითუმო ფასების გადასასინჯად და წარმოების ახალი პირობებისათვის მათს მისასადაგებლად. ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტები უკვე გაეგზავნათ საწარმოებს და 1982 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევა.

ახალი საბითუმო ფასები უფრო ხელშემწყობ პირობებს შეუქმნის საწარმოთა სამეურნეო ანგარიშიან საქმიანობას და სხვა იმ ეკონომიკური სტიმულებისა და ბერკეტების ეფექტიან გამოყენებას, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებით სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ.

სათბობის, ენერგიის, ნედლეულის საბითუმო ფასების გაზრდა უდავოდ შეუწყობს ხელს აგრეთვე მთელი ამ რესურსების უფრო მიზეზირნე ხარჯვას.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს საბითუმო ფასების ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, ფართოვდება ახალი მაღალეფექტი

პიონერთა ხასახლე 40 წლისაა
თბილისი 1938

ხარბოდეს სიკეთის ნერგი

ყოველცისმარე მისი სიცოცხლე ბავშვების წკრიალა ხმებით იწყება და ყოველდღე მათი სიხარულით, ოცნებით, სურვილებით სულდგმულობს იგი.

ასეა დასაბამიდან, იმ მარადსამახსოვრო 1941 წლის 2 მაისიდან, როცა საზეიმოდ გაიხსნა ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.

ახლა ჩვენ მისი დაარსების მე-40 წლისთავს ვზეიმობთ და, ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანის გულს, რამდენი უკვე დაფრთიანებული მართვესი და აწინდელი აღსაზრდელის გულს, აძგერებს ეს შესანიშნავი თარიღი სიხარულით. ვისთვის არ დაუდია მას კეთილი ამაგი და დღესაც რამდენ ყმაწვილს მიაგებებს ყოველდღიურად მშობლიური სითბოს. ისინი არა მარტო თბილისელები არიან. ფოსტას ყოველ დღით უამრავი წერილი მოაქვს პიონერთა სასახლეში საქართველოს ყველა კუთხიდან. ასეა ზამთარშიც და ზაფხულშიც, სწავლის დროსაც და არდადეგებზეც, რადგან პიონერულმა მუშაობამ არიცის არდადეგები. ჩვენი სასახლის მუშაკებიც მუდამ მზად არიან გულისყურით გაეცნონ ამ ბარათებს, რჩევა და დარიგება, ხელშეწყობა არ მოაკლონ მათ ავტორებს, მზრუნველი თვალი არ მოაშორონ ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ კუთხესა და რაიონს.

ჩვენი სასახლის პედაგოგებისა და აღმზრდელების დიდ კოლექტივს შესანიშნავი ტრადიციები დაუმკვიდრეს წინამორბედებმა. ეს მათმა დაუღალავმა შრომამ და საქმის ერთგულებამ გაავლო ყამირზე პირველი ხნული, რათა მასზე შემდგომ ყოველთვის სიკეთის ნერგს ეხარა და აეყარა ტანი. კარგად გვესმის, რომ სასახელო ტრადიციებს მოწიწებით მოპყრობა და გამრავლება უნდა.

ეს კი მეტად პასუხსაგები და საპატიო საქმეა.

დღეს 40 წლის პიონერთა სასახლე სიამაყით უპატაკებს, რომ პიონერული მუშაობა დღითი დღე სულ უფრო შლის ფრთებს და მრავალფეროვანი ხდება. ახლა სასახლის 9 განყოფილებაში 150 დასახელების 700-მდე წრე მუშაობს, შექმნილია მოსწავლეთა ორმოცამდე სხვადასხვაგვარი გაერთიანება — კლუბები, შტაბები, სამეცნიერო საზოგადოებები, ლექტორიუმები, სკოლები, აქტივის საბჭოები, რომლებშიც მონაწილეობს თბილისისა და დედაქალაქის ახლომდებარე რაიონების სკოლათა 10.000 მოსწავლე. პიონერთა განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ოთახები, დარბაზები, მრავალტროაჟიანი გაზეთი „გაზეთ ხუული“, სასწავლო სტამბა (სადაც იბეჭდება „გაზეთ ხუული“ და მეთოდიკური ლიტერატურა); პიონერებს აქვთ სასახლის 3 ჰექტარი ფართობი, დეკორატიული ბაღი და საზაფხულო ბანაკი „მზიანეთი“ შავი ზღვის სანაპიროზე. სასახლე მრავალგვარ სასწავლო-აღმზრდელობითს და მუშაობას წარმართავს თბილისსა და მთელ რესპუბლიკაში.

სასახლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ცნობილი მეცნიერები, წარმოების მოწინავენი, ნოვატორები, რაციონალიზატორები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, წოთელი არმიის მებრძოლები, პიონერული და კომკავშირული მოძრაობის veteranebi. უფროს პიონერხელმძღვანელთა, რაზმის ხელმძღვანელთა, კომკავშირული აქტივის სკოლებთან ერთად ჩამოყალიბებულია პიონერთა საქალაქო შტაბი „კოცონი“, სახელმმართველობების ნორჩ ინტერნაციონალისტთა სკოლები.

დიდად პოპულარულია მოსწავლეთა გაერთიანებები: ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი რესპუბლიკური საზოგადოება „ნორჩი მკვლევარი“, სადაც მუშაობენ ნორჩ ისტორიკოსთა, მემატიანეთა, ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა, ძეგლის მეგობართა, კოლექციონერთა სექციები,

მრავალი საერთაშორისო და საკავშირო კონკურსის ლაურეატობა, მათემატიკოსთა მსოფლიო ოლიმპიადაში გამარჯვება, ანთროპოლოგთა საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობა, გრან-პრი კინომოყვარულთა ფესტივალზე, ყველა სახის ჯილდო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, საპრიზო ადგილები ტექნიკური შემოქმედების საკავშირო დათვალიერებაზე, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გამარჯვებები ევროპის, მსოფლიოს თუ საკავშირო სარბიელზე, ანსამბლ „მზიურის“ წარმატება ბავშვთა პირველ საერთაშორისო ფესტივალში და, ბოლოს, უმთავრესი — სასახლის თვითმოქმედი კოლექტივისათვის საკავშირო კომკავშირის ლაურეატის საპატიო წოდების მინიჭება — აი არასრული ჩამოთვლა იმ ღირსსამახსოვრო წარმატებებისა, რომლებიც ჩვენი სასახლის აღსაზრდელებმა მარტო განვლილ, მეათე ხუთწლედში მოიპოვეს. ამას უნდა დავძინოთ ისიც, რომ ჩვენს 10-ათასიან არმიაში არც ერთი სწავლაში ჩამორჩენილი და გზასაცდენილი ყმაწვილი არ არის.

ფართოვდება და მტკიცდება სასახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყოველივე, რაც აღინიშნა, უეჭველად, ღირსეული საჩუქარია სასახლის მე-40 წლისთავისათვის. ამ სამახსოვრო დღეებში, ბუნებრივია, ვაჯამებთ განვლილს უკვე მიღწეულს, და კრიტიკულადაც ვაფასებთ იმას, რასაც დღეს ვაკეთებთ. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში მუდამ და ყოველთვის უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამხანაგ ე. შევარდნაძის შეფასებით, რომელიც მან პიონერულ მუშაობას მისცა: „ნორჩ ლენინელებთან მუშაობა დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამ დიდი პროგრამისა, რომელიც ქვეყანას დაუსახეს სკკპ XXV და XXVI ყრილობებმა და რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმისადმი, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისადმი“.

როცა ამ მასშტაბებით, ამ მაღალი მოთხოვნით ვაფასებთ ჩვენს გარჯას, არ შეიძლება გულწრფელად არ ვაღიაროთ ნაკლოვანებები, რომლებიც უთუოდ უნდა დაძლიოთ, თუ გვინდა უფრო ღირსეულად გავართვათ თავი დაკისრებულ მოვალეობას.

პირველ ყოვლისა, ჩვენი სერიოზული საზრუნავია ის, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის დამყარება ბევრ სკოლისგარეშე დაწესებულებასთან, კომკავშირის რაიონულ კომიტეტებთან. არა გვაქვს პიონერთა სახლებისა და სასახლეების პედაგოგთა, პიონერხელმძღვანელთა დახმარების, სწავლებისა და მათი საერთო საქმიანობის კოორდინაციის ერთიანი სისტემა. ჯერ კიდევ ეპიზოდურად დავდგავართ რაიონებში ადგილებზე საინტერესო სიახლის დანერგვისა თუ გამოცდილების გაზიარების მიზნით.

თუმცა ერთგვარად გავაუმჯობესეთ მეთოდიკური ლიტერატურით პიონერულ მუშაკთა მომზადება. ამ მიზნით შევქმენით საგამომცემლო სექტორიც, მაგრამ გაკეთებული მაინც ცოტაა. მომავალში გაცილებით მეტი მოგვეთხოვება.

ჩვენს მუშაობაში იშვიათი როდია, როცა ვერ ვითვალისწინებთ მოზარდთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, უფრო კოლექტიური აღზრდის ფორმები და მეთოდები ჭარბობს. სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივ ღონისძიებებში შეიმჩნევა შეუთანხმებლობა და. პარალელიზმი. ვერც ფორმალიზმი, აღზრდის ეს უპირველესი მტერი, ვერ ამოვძირკვეთ ბოლომდე. შუმობდან. ზოგჯერ წვრილმანად თელიან, როცა სკოლებში პიონერთა ოთახებს არა აქვთ აუცილებელი ატრიბუტები, ბავშვები არ ატარებენ პიონერის ნიშნებსა და ყელსახვევებს. ბევრ რაზმსა და რაზმეულს ალამიც არ აქვს. სინამდვილეში კი ეს წვრილმანი არ არის. ისევე როგორც აღზრდაში, საზოგადოდ, პიონერულ მუშაობაშიც არ შეიძლება ხარვეზი წვრილმანად მიგვაჩნდეს.

გულწრფელად უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი პედაგოგები ყოველთვის ვერ აძლევენენ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების ღრმა და ყოველმხრივ ცოდნას. ყურადღებას მოითხოვს სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელთა საკადრო პოლიტიკაც. არც ისე დიდი გამონაკლისია, როცა ამ თანამდებობებზე შემთხვევითი პირები ინიშნებიან.

ამ და ზოგიერთი სხვა მტკივნეული საკითხის თაობაზე გულახდილი, პრინციპული საუბარი გვქონდა საქართველოს პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკურ კრებაზე, რომელიც ცოტა ხნის წინათ გაიმართა თბილისში. კრებამ ჩვენი მომავალი საქმიანობის ყოველმხრივ მოფიქრებული გეგმები დასახა. და ყოველი ჩვენგანის ვალია, ისინი განუხრელად განვახორციელოთ.

შეუთავსებელია ყმაწვილების აღზრდა, პიონერული მუშაობა, ერთი მხრივ, და ფუჭი, ლოტონი სიტყვა, ლამაზი ფრაზებით თავმოწონების სურვილი, მეორე მხრივ.

ცნობილია, რომ აღზრდაში პირადი მაგალითია გადამწყვეტი, და ჩვენც, ჩვენი წინამორბედების კვალად, მოვალენი ვართ, მხდომბილი საქმისადმი კეთილსინდისიერი, მომთხოვნი დამოკიდებულებითა და პრინციპულობით მივცეთ მაგალითი ჩვენს ნორჩ აღსაზრდელებს.

არ შეიძლება სხვა რაიმემ მოგვანიჭოს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე იმის შეგნებამ, რომ როცა ყოველდღე მშობლიური სასახლისაკენ ეშურება ასობით ყმაწვილი, ჩვენ, რომელთაც პატივი გვაქვს მათი მასწავლებლები ვიყოთ, შრომით ვალმოხდილნი, პირნათელნი ვეგებებით უმცროს მეგობრებს, ჩვენი დიდი ქვეყნის, კომუნისტური საზოგადოების მომავალ მშენებლებს.

ამ სულისკვეთებით, ამ განწყობილებით გახვლო თავისი არსებობის სახელოვანი 40 წელი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ და ამ სულისკვეთების ერთგული იქნება იგი მუდამ.

თ. ჟღენტი,
ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი.

სახლი მარადი გაზაფხულისა

სახლები ადამიანებს ჰგვანან, იმათ, ვინც იქ, იმ სახლებში ცხოვრობს.

ადამიანები ბერდებიან. მაშ, გამოდის, რომ სახლებსაც უწევთ სიბერე.

აი ამ სახლს კი სიბერე არ უწერია — მარად ახალგაზრდა, მხრებგაშლილი დგას იგი რუსთაველზე, სულ მოფუსფუსე და მოკრიამულე, მოზეიმე, ისე, როგორც ამ ორმოცი წლის წინათ იყო... თუმცა, არა, ჭეშმარიტი ზეიმი არასოდეს მეორდება, ის მუდამ ერთია და განუმეორებელი. ის დღეს იმიტომაც წარუშლელად, ფერგაუხუნრად შემორჩა ხსოვნას...

მაშინ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობდი მოსწავლე, ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის დარგში. სწორედ ასე ერქვა ჩემს იმჟამინდელ თანამდებობას.

ალბათ, არავის გაუჭირდება 20-30-იანი წლების კომკავშირელთა საქმისა და საზრუნავის წარმოდგენა! თითქმის ყველაფერს თავიდან ვქმნიდით. ჩვენ მხარში ვუდექით რევოლუციური განახლების ქარიშხალში გამოწრთობილ მამათა თაობას და მარილაც არ ვიცოდით, რა იყო დაღლა. საქმე, იცოცხლეთ, თავზე საყრელი გვქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, არც სინათლე და სიხარული მოჰკლებია ჩვენს სიპაბუკეს.

ესეც, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეც, სწორედ იმ წარუვალის, იმ სულ თანამდევი ერთი დიდი სიხარულის მოწმე გახლავთ, ჩემი თაობის ახალგაზრდობას რომ არგუნა წილად ცხოვრებამ. რა დამავიწყებს მისი დაბადების დღეს!

როგორც კი გადაწყდა, რომ ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე ჩვენს ნორჩ თაობას გადასცემოდა (განა ეს ფაქტიც ღრმა შინაარსით არ არის აღსავსე!), მაშინვე შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური კომისია, რომელსაც, სხვა საქმეებთან ერთად, ევალებოდა შენობის რეკონსტრუქცია, საჭირო ინვენტარის შეძენა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა. დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებმა გამოიჩინეს ინიციატივა — თავიანთი წილობრივი წვლილი შეეტანათ სასახლის რეკონსტრუქციასა და ხელახლა მოწყობაში. მახსოვს, მოთავე ი. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა იყო.

ქვეყანას მაშინ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა ისეთი, რასაც ჩვეულებრივ მატერიალური ეთილდღეობის ცნებაში ვგულისხმობთ. ახალშენებლობებისათვის როდი ვიყავით განებივრებულნი, მაგრამ არც რესპუბლიკის მთავრობას და არც უბრალო მუშებს, მშრომელებს არაფერი დაუკლიათ, რომ პიონერთა სასახლე დროულად ჩამდგარიყო მწყობრში. სულ რაღაც ორიოდე წელიწადში განახლდა და იცვალა ფერი სასახლის ვრცელმა დარბაზებმა და ეზო-გარემომ. დადგა ნანატრი წამიც. სრულიად ახალგაზრდას ბედმა მარგუნა, დაუვიწყარი მოვლენა პირველს მეხარებინა და მიმეღოცა ჩვენი ბავშვებისათვის, მათი მშობლებისათვის, მთელი რესპუბლიკის მშრომელებისათვის.

1941 წლის 4 მაისს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა:

„სასახლის საზეიმო გახსნაზე დასასწრებად დიდძალმა ახალგაზრდობამ, უმთავრესად პიონერებმა, მოსწავლეებმა და ოქტომბრელებმა მოიყარეს თავი. სასახლის პარკის ჩრდილიანი ხეივნები მოზეიმე ბავშვთა მხიარულმა ყიჟინამ მოიცვა. სასახლის დარბაზებს, ლაბორატორიებს და კაბინეტებს უყარებელი მნახველი ჰყავდა. მოსულიყვნენ პატარები მშობლებთან ერთად და ათვალიერებდნენ შესანიშნავ გონებამახვილობით მოწყობილ სათამაშო დარბაზებს, სახელოსნოებს, მეცნიერებისა და ტექნიკის კუთხეებს.

სასახლის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა დანიშნული იყო ბავშვთა თვითმოქმედების თეატრის დარბაზში. დერეფნებსა და ხეივნებში გაისმა გამაფრთხილებელი ძახილი — თვითმოქმედების თეატრში საზეიმო სხდომა იწყებაო. ბავშვები მიაწყდნენ თეატრის დარბაზს. შესანიშნავად მორთული სათეატრო დარბაზი ყველა მსურველს ვერ იტევდა“.

ეს იყო 2 მაისს, და ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ სულ მალე, რაღაც თვენახევარში, ჩვენს სამშობლოს უმძიმესი განსაცდელი დაატყდებოდა თავს. თუმცა, იქნებ ვგრძნობდით კიდეც მოახლოებული ომის საფრთხეს.

აკი წინა დღის, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილ მოწინავეში წერდა გაზეთი „პრავდა“: „სისხლიან დაფიონში მეორე იმპერიალისტური ომისა, რომელმაც თავის ორბიტაში ჩაითრია მილიარდნახევარზე მეტი კაცი, შეხვდნენ 1941 წლის 1 მაისს კაპიტალისტური ქვეყნების ‘ხალხები...“

და მაინც ჩვენ ვოცნებობდით მშვიდობაზე, ჩვენი ბავშვების უღრუბლო ცაზე...

ომის მრისხანე წლებშიც კარგი ძიძობა გაუწია პიონერთა სასახლემ ჩვენს ყმაწვილებს. იქაც ცხოვრება სამხედრო ყაიდის შესაფერისად გარდაიქმნა: შეიქმნა ევაკუირებულ ბავშვთა საგანგებო შტაბი, ჩამოყალიბდა ქუჩების პატრულთა რაზმები, თავიანთი პატარა ხელებით სასახლის აღსაზრდელები ყველაფერს აკეთებდნენ მეომარი მამებისა და უფროსი ძმების დასახმარებლად, მორიგეობდნენ ჰოსპიტლებში... ნორჩებზე ზრუნვა კი არ შეუნელებია, გააათკეცა მაშინ სასახლის მთელმა კოლექტივმა.

სწორედ ცხოვრების ნებით იყო, რომ ჩვენი სასახლის მთელი გარემო იმთავითვე განიმსჭვალა სულის ამამაღლებელი საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევი გრძნობით. და დღეს შეუძლებელია მადლიერებით არ მოვიხსენიოთ ამ დიდი და მშვენიერი სახლის მესაძირკველნი, მათ შორის სასახლის პირველი დირექტორები — ღვაწლმოსილი ადამიანები შალვა თევდორაძე, ელენე აგლაძე, მარგო თომაძე...

ნინო ჟვანია.

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის მხატვრულ კოლექტივებს არაერთხელ უსახელებიათ თავი ნატიფი ხელოვნებით. ფსინი მრავალჯერ ყოფილან სტუმრად ჩვენი რესპუბლიკისა თუ სხვ კავშირის ქალაქებში და იქ თანატოლები ცეკვა-სიმღერით მოუხიბლავთ.

სურათებზე: ზემოთ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის წინ გამართული საზეიმო კონცერტი. ქვემოთ — ქორეოგრაფიული ანსამბლის ნორჩი მოცეკვავეები.

ხ. კილაძის ფოტო.

სიტყვას ამგოგდა „პასიონარია“...

როცა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათავეებისაკენ ვიხედებით, თვალწინ გაგვიელვებს დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები. სასახლე ერთი თვის გახსნილი იყო, რომ ვერაგი მტერი მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. ომის შემზარავი ამბავი მეხივით გავარდა მთელ ქალაქში. სწორედ ამ დღეს, 22 ივნისს, ახლად გახსნილ პიონერთა სასახლეში უნდა გამართულიყო დიდი მეჯლისი — პირველი მასობრივი დღესასწაული. ბავშვები უკვე მზად იყვნენ მხიარული დღესასწაულისათვის, ქუჩებში კი ომის აჩრდილი დაძოწოდა...

ნუ წვალობენ ბავშვებს სიხარულს, — გვითხრეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მეჯლისი დაიწყო 23 ივნისს, ოღონ სამ საათზე. სასახლის კაბინეტები, ლაბორატორიები, თეატრალური დარბაზები, ბაღი სავსე იყო ბავშვებით. იმ დღეს ნიღბოსნებს მიეცა ტალ რამდენიმე ახალი ნიღაბი — „პრესა“, „რადიო“, „მოწყალების დები“ თეთრი ხალათებით, მკლავზე წითელი ჯვრებით. გაისმოდა „პრესისა“ და „რადიოს“ შეძახილები: „სიკვდილი ფაშისტებს!“, „შორს ჩვენგან ვერაგი მტერი!“, „ჩვენ გავიმარჯვებთ!“... მაგრამ მეჯლისს მაინც აღარ ჰქონდა სასურველი ხალისი და ბრწყინვალება. იმ საღამოს სასახლის დიდებულ ბაღში არ ანთებულა მეჯლისისათვის საგულდაგულოდ მომზადებული ფერად-ფერადი ლამპიონები. ქალაქი უკვე შენიღბული იყო.

ყველაფერი ფრონტისათვის! — ასეთი იყო პარტიის მოწოდება და ახლად გახსნილმა პიონერთა სასახლემაც ამ მოწოდების კვალობაზე წარმართა მთელი თავისი მუშაობა. ფრონტზე ბრძოლა, საბჭოთა პატრიოტიზმი, ცოდნის დაუფლებისადმი სწრაფვა, ფიზიკური წვრთნა, გამბედაობა, ნებისყოფა, ლტოლვა გმირობისადმი — აი ის თვისებები, რომლებსაც ყოველდღიურად ნერგავდა სასახლე პიონერთა და მოსწავლეთა სულსა და გულში. იყო შემთხვევები, როცა ამ მრისხანე და ნაღვლიან დღეებშიც გაიელვებდა ხოლმე ფიცი სიხარულის ნაპერწკლები.

1942 წლის მარტის ერთ სუსხიან დღეს პიონერთა სასახლეს ორი დიდად პატივცემული მანდილოსანი ესტუმრა. ისინი შიო ჩიტაძის ქუჩიდან შემოვიდნენ სასახლის ეზოში, ერთი—მაღალი, შავგვრემანი, შავი, ცაცხლოვანი თვალებით, მხრებზე მნოიანად მოგდებული მანდილით. ჩვენ იგი მაშინვე ვიცანით. ეს იყო ესპანეთის რევოლუციის ლეგენდარული გმირი ქალი დოლორეს იბარური — „პასიონარია“. მას გვერდით ჩვენი რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე მარიამ ბურჭულაძე მოჰყვებოდა. მარიამ ბურჭულაძე ომის დროს ხშირად წარმოთქვამდა მგზნებარე სიტყვებს ანტიფაშისტურ მიტინგებზე. ამ ბობოქარი და მღელვარე სიტყვებისათვის მარიამსაც სიყვარულით „პასიონარია“ შეეარქვით, ასე მოულოდნელად, გაუფრთხილებლად ესტუმრა სასახლეს ორი „პასიონარია“ და ბავშვთა სამყაროში განუმეორებელი სიხარული შემოიტანა.

დოლორეს იბაბურიმ გულდაგულ დაათვალიერა ყველა კაბინეტი, ლაბორატორია, სპორტული და თეატრალური დარბაზები, სახელოსნოები. დაესწრო ზოგიერთი წრის მეცადინეობას. თავიანთ თვალით ნახა, როგორ გულმოდგინედ სწავლობდნენ ბავშვები საავიაციო საქმეს, აკეთებდნენ თვითმფრინავებისა და გემების მოდელებს, სამხედრო კაბინეტში ეცნობოდნენ საბრძოლო იარაღებს, ხელსაქმის წრეებში ქსოვდნენ ფრონტზე გასაგზავნად თბილ ნაჭრებსა და ხელთათმანებს. თოჯინების თეატრში უყურა სპექტაკლს „ჯადოსნურ კალოშს“, ნახა თვითსაკეთო თოჯინები, დაესწრო „პატარა კახის“ რეპეტიციას, რომელსაც სასახლის მხატვრული ნაწილის გამგე, რუსუბლიკის დამსახურებული არტისტი ბორის გამრეკელი ხელმძღვანელობდა, მოუსმინა საკონცერტო ბრიგადებს, რომელთა გამოსვლები ჰოსპიტლებში „ნორჩი ხმებით მკურნალობად“ მონათლეს. საღამოზე თეატრალურ დარბაზში შეხვდა თბილისის მოსწავლეთა და მათი მშობლების აქტივს.

იდგა კეთილდრაზე სასახლის პირველი უცხოელი სტუმარი, ყველასათვის ძვირფასი და მახლობელი დოლორეს იბაბური, მღელვარე, დაუცხრომელი, „პასიონარია“. იგი მგზნებარე სიტყვით თავს ესხმოდა ფაშისტ დამპყრობლებს, უამბობდა ბავშვებს, თუ როგორ იტანჯებოდნენ ფაშისტურ ჯურღმულებში გამომწყვდეული ესპანელი ბავშვები. ამ მშვენიერ სასახლეში, თბილისელი ბავშვები იზეიმებენ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, — ამბობდა იგი, დარბაზში მყოფთაგან არავინ იცოდა ესპანური ენა, მაგრამ ორატორის ბგეთაგან გადმოფრქვეული სიტყვები ნაპერწკლებივით იფანტებოდა და ყველა გრძნობდა ულიდეს სიწრფელესა და მგზნებარებას. მთელი დარბაზი, ორატორთან ერთად, როგორც მაგრად შეკუმშული მოღერებული მუშტი, ისე იყო შემართული.

როცა წასვლის წინ სასახლის საპატიო სტუმარს საჩუქრად ბავშვების ნახელავი მივართვეთ, აღელვებულმა მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა:

— ამ მშვენიერი სასახლიდან მე უკვე მომაქვს თქვენი ბავშვების ძვირფასი საჩუქარი, ეს არის მათი წკრიალა ხმებით შესრულებული „იავნანა“, რომელიც არასოდეს დამავიწყდება...

მარგო თომაძე.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა უეფას თასის გათამაშების მესამე წრის პირველი მატჩები. აი მათი შედეგები: ავსტრიის „რაპიდი“-მადრიდის „რეალი“ — 0:1. შვეიცის „გეტაბორგი“-რუმინეთის „დინამო“ — 3:1, შოტლანდიის „აბერდინი“-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგი“ — 3:2, ბელგიის „ლოკერენი“-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კაიზერსლაუტერნი“ — 1:0, იუგოსლავიის „რადნიჩკი“-ჰოლანდიის „ფეიენორდი“ — 2:0, ესპანეთის „ვალენსია“-იუგოსლავიის „ჰაიდუკი“ — 5:1, პორტუგალიის „სპორტინგი“-შვეიცარიის „ჰამაქსი“ — 0:0. ბელგიის „ვინტერსლაგი“ შოტლანდიის „დანდი იუნიტედთან“ — 1 დეკემბერს ითამაშებს. განმეორებითი მატჩები გაიმართება 9 დეკემბერს.

სპორტული ტანვარჯიში. მოსკოვში გრძელდება ოცდამეერთე მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების მესამე დღეს ვიეტნამმა დაამთავრეს გუნდური ასპარეზობა. სსრ კავშირის ნაკრებმა 588,95 ქულა დააგროვა და მსოფლიოში უძლიერესის წოდება მოიპოვა (გუნდის შემადგენლობა: ა. დიტინი, ა. ტკაჩოვი, ი. კოროლიოვი, ა. აკოპიანი, ბ. მაკუცი და პ. სუტი). ვერცხლის მედლები წილად ხვდათ იაპონელებს — 585,85, ბრინჯაოსი — ჩინელებს — 583,9 ქულა. გუნდური ასპარეზობის შედეგად გამოვლინდნენ უძლიერესი ტანმოვარჯიშენი (36 კაცი), რომლებიც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატის წოდებისათვის ბრძოლას გააგრძელებენ. უძლიერესთა სიაში პირველი ი. კოროლიოვი — 118,05 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ბ. მაკუცი (117,9), ა. დიტიატინი (117,75), ტუნ ფეი (ჩინეთი, 117,6), ნ. კაძიტახი (იაპონია, 117,5). გუშინ გუნდური ასპარეზობა დაამთავრეს ქალებმა.

კალათბურთი. კუიბიშევსა და რიგაში დაიწყო უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები. თბილისის „დინამო“ ასპარეზობს კუიბიშევში. პირველ დღეს თბილისელები დამარცხდნენ ვილნიუსის „სტატიბასთან“ შეხვედრაში — 109:124, მეორე დღეს კი კაუნასის „ჟალგირისთან“ მატჩში — 91:105.

COMUNISTI INDEKS 66434 უე 14736

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით, საბაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

საკლესისა და ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ
დედაქალაქის ჟურნალი
26 ნოემბერი

ფაქტები, მოვლენები

დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის მოლაპარაკება საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთავარი თემა. იხილავენ და განმარტავენ რა ამ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენას, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, პრესა, აღნიშნავენ რომ, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, ახლა არა არის რა იმაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე მშვიდობის დაცვა, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, ის, რომ ადამიანთა ცხოვრება ქვეყანად იყოს უფრო მშვიდი, უფრო მტკიცე.

ბონი გამართულ სადილზე წამოსულ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ **ჰ. მისმა** უწოდა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ახალი დოკუმენტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მან თქვა, რომ ამ სიტყვაში ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი კონსტრუქციული წინადადებანი მოიწოდა დასავლეთ გერმანიის ყველა მშვიდობისმოყვარე მოქალაქემ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ეს წინადადებანი ახლანდელ პირობებში, როცა საერთაშორისო ვითარება შესამჩნევად გამწვავდა. ყველასათვის ცხადია, რომ ახლა საქმე ეხება იმას, გადაიდგმება თუ არა ნაბიჯი მშვიდობის განმტკიცების გზაზე თუ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდება გამალებული შეიარაღება, გაიზრდება ომის საფრთხე. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საშეალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის შეზღუდვისა და შემცირების პრობლემის გადაწყვეტაში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მომავალ მოლაპარაკებაზე ხელშეშეწყობი ატმოსფეროს შექმნაში.

ბონის მთავრობის წრეებში ინტერესით შეხვდნენ ცნობას, რომ საბჭოთა ხელმძღვანელს მხედველობაში აქვს საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების ასობით ერთეულით შემცირება, თუ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკება ამის შესაძლებლობას მისცემთ, წერს დასავლეთგერმანული **„შტუტგარტერ ცაიტუნგი“**, ლ. ი. ბრეჟნევმა თავისი თავდაპირველი წინადადება მორატორიუმის შესახებ ახლა შეავსო ახალი მნიშვნელოვანი წინადადებით—წერს შემდეგ გაზეთი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი, საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგები უპირველესი მნიშვნელობის საერთაშორისო მოვლენაა, წერს მონოლოური „**უნენი**“. ამ მოლაპარაკების დროს სსრ კავშირმა თავისი ხელმძღვანელის მეშვეობით კვლავ ცხადყო უდრეკი მისწრაფება მშვიდობისადმი, დაძაბულობის შენელებისადმი, იმისადმი, რომ ევროპას, და არა მარტო ევროპას, თავიდან აეცილოს ბირთვული კატასტროფის საფრთხე.

ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, ვაშინგტონის მშვიდობის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯ. მილერმა** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტს უწოდა საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს დაძაბულობის შენელების განმტკიცებაში და ომის საფრთხის შესუსტებაში. მან იმედი გამოთქვა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრებმა საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული ახალი ინიციატივები გერმანიაღების დაძაბულობის შენელებაზე, ნაყოფიერ დაძაბულობის შენელებაზე აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ურთიერთობაში, იმ გზაზე წინსვლის პირობების შექმნას, რომ კიდევ უფრო განვითარდეს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი და ნაყოფიერი თანამშრომლობა. ახლახან პრეზიდენტ რიგანის მიერ შემოთავაზებულ ეგრეთ წოდებული „ნულოვანი გადაწყვეტა“ აშკარად არარეალისტური და უფრო ულტიმატუმივდრე, მოლაპარაკების საფუძველი, თქვა ჯ. მილერმა, ამერიკელები მ